



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA



KA030197782311116

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/65179

25 / აგვისტო / 2016 წ.

„ფაქტ მეტრი“-ს ანალიტიკოსს ქალბატონ ნანა სისვაძეს

ქალბატონო ნანა,

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს თქვენი N85605 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2010 წელს ალგეთის ამბულატორია შედიოდა შპს „მარნეულის რაიონის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანების“ შემადგენლობაში, ხოლო არსებული შპს იყო ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს საკუთრებაში 100%-იანი სახელმწიფო წილით.

2011 წლის ბოლოს შპს „მარნეულის რაიონის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანება“ გადავიდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო 2012 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტმა პირდაპირი შესყიდვით საკუთრებაში გადასცა კერძო პირს, რომელმაც ამავე წელს აღნიშნული ამბულატორია გაყიდა სოფ. ალგეთში მცხოვრებ მოქალაქეზე.

ალგეთის ამბულატორიაში შედიოდა 3 შენობა ნაგებობა: ერთი 2 სართულიანი და ორი ერთსართულიანი შენობები, რომლებიც განთავსებული იყო 2600 კვ. მეტრ მიწის ფართობზე.

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის“ განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის №01-264/ო ბრძანების შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის ტერიტორიული ორგანოს სოფლების (ალგეთი, აზიზკენდი, გაჯისაკენდი, თაზაკენდი, საბირკენდი) მოსახლეობას ემსახურება 5 ექიმი და 5 ექთანი. ამასთან, სოფელ ალგეთის მოსახლეობისათვის, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები (ექიმები და ექთნები) განთავსებულნი არიან სოფლის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართში.

„2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 19.1-ის შესაბამისად, სოფლის ექიმის ფუნქციას წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული სამედიცინო სერვისების მიწოდება (იხილეთ დანართი).

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს სოფლად სამედიცინო პერსონალის ახალი განაწილება საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებად ახალი დაყოფის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამმართველოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



ქეთევან ფხაკაძე